

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24 2017 წლის 11 დეკემბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016208, 30/12/2016) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	7,441,652	6,557,924	883,728	10,249,918	9,660,401	589,517	10,123,486	10,123,486	0
გადასახადები	93,318	93,318	0	716,805	716,805	0	884,100	884,100	0
გრანტები	7,042,869	6,159,141	883,728	8,887,589	8,298,072	589,517	8,952,586	8,952,586	0
სხვა შემოსავლები	305,465	305,465	0	645,525	645,525	0	286,800	286,800	0
ხარჯები	4,749,025	4,530,623	218,402	5,074,968	5,057,055	17,913	5,870,440	5,870,440	0
შრომის ანაზღაურება	1,195,666	1,195,666	0	2,552,056	2,552,056	0	2,321,200	2,321,200	0
საკონელი და მომსახურება	502,918	472,952	29,966	961,169	953,070	8,099	1,223,390	1,223,390	0
	0	0	0	0	0	0	0	0	0



პროცენტი									
სუბსიდიები	2,363,264	2,203,769	159,495	647,116	638,502	8,614	721,500	721,500	0
გრანტები	251,258	228,417	22,841	278,700	278,700	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	290,861	290,861	0	189,677	189,677	0	206,200	206,200	0
სხვა ხარჯები	145,057	138,957	6,100	446,249	445,049	1,200	1,398,150	1,398,150	0
საოპერაციო საღებო	2,692,626	2,027,300	665,326	5,174,950	4,603,346	571,604	4,253,046	4,253,046	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,210,234	2,676,688	533,546	4,898,414	4,194,720	703,694	4,585,816	4,585,816	0
ზრდა	3,212,620	2,679,074	533,546	4,918,890	4,215,196	703,694	4,610,816	4,610,816	0
კლება	2,386	2,386	0	20,476	20,476	0	25,000	25,000	0
მთლიანი საღებო	-517,608	-649,388	131,780	276,536	408,626	-132,090	-332,770	-332,770	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-523,608	-655,388	131,780	234,625	366,715	-132,090	-372,570	-365,803	-6,767
ზრდა	131,780	0	131,780	366,715	366,715	0	5,200	5,200	0
ვალუტა და დეპოზიტები	131,780	0	131,780	366,715	366,715	0	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0	0	0	0	5,200	5,200	0
კლება	655,388	655,388	0	132,090	0	132,090	377,770	371,003	6,767
ვალუტა და დეპოზიტები	655,388	655,388	0	132,090	0	132,090	377,770	371,003	6,767
ვალდებულებების ცვლილება	-6,000	-6,000	0	-41,911	-41,911	0	-39,800	-33,033	-6,767
ზრდა	0			0			0		
კლება	6,000	6,000	0	41,911	41,911	0	39,800	33,033	6,767
საშინაო	6,000	6,000	0	41,911	41,911	0	39,800	33,033	6,767
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	



		საკუთარი შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	7,444,037	6,560,309	883,728	10,270,394	9,680,877	589,517	10,148,486	10,148,486	0
შემოსავლები	7,441,652	6,557,924	883,728	10,249,918	9,660,401	589,517	10,123,486	10,123,486	0
არაფინანსური აქტივების კლება	2,386	2,386	0	20,476	20,476	0	25,000	25,000	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0			0			0		
ვალდებულებების ზრდა	0			0			0		
გადასახდელები	7,967,645	7,215,697	751,948	10,035,769	9,314,162	721,607	10,526,256	10,519,489	6,767
ხარჯები	4,749,025	4,530,623	218,402	5,074,968	5,057,055	17,913	5,870,440	5,870,440	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,212,620	2,679,074	533,546	4,918,890	4,215,196	703,694	4,610,816	4,610,816	0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0	5,200	5,200	0
ვალდებულებების კლება	6,000	6,000	0	41,911	41,911	0	39,800	33,033	6,767
ნაშთის ცვლილება	-523,608	-655,388	131,780	234,625	366,715	-132,090	-377,770	-371,003	-6,767

მუხლი 3. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10 123 486 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	7,441,652	6,557,924	883,728	10,249,918	9,660,401	589,517	10,123,486	10,123,486	0
გადასახადები	93,318	93,318	0	716,805	716,805	0	884,100	884,100	0
გრანტები	7,042,869	6,159,141	883,728	8,887,589	8,298,072	589,517	8,952,586	8,952,586	0
სხვა შემოსავლები	305,465	305,465	0	645,525	645,525	0	286,800	286,800	0



ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 884 100 ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	93,318	93,318	0	716,805	716,805	0	884,100	884,100	0
საშემოსავლო გადასახადი	0			194,238	194,238		345,300	345,300	0
ქონების გადასახადი	93,318	93,318	0	522,567	522,567	0	538,800	538,800	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	43,319	43,319	0	462,647	462,647		506,800	506,800	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	479,400	479,400	0	849	849		2,000	2,000	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,333,700	1,333,700	0	2,490,000	2,490		0		
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	48,185	48,185	0	56,581	56,581		30,000	30,000	

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8 952 586 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	7,042,869	6,159,141	883,728	8,887,589	8,298,072	589,517	8,952,586	8,952,586	0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	0	0	0			0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	2,445,617	2,445,617	0	3,941,720	3,941,720	0	3,000,000	3,000,000	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური									



ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	52,524,000	52,524,000	0	520,852	520,852	0	1,809,986	1,809,986	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4,544,728	3,661,000	883,728	4,425,017	3,835,500	589,517	4,142,600	4,142,600	0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,661,000	3,661,000	0	3,835,500	3,835,500		4,142,600	4,142,600	
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,661,000	3,661,000	0	3,835,500	3,835,500		4,142,600	4,142,600	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	883,728	0	883,728	589,517	0	589,517	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	552,202		552,202	589,517		589,517	0		
მ.შ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	200,000		200,000	0	0	0	0	0	0
მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	131,526		131,526,000	0			0		

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **286 800** ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	305,465	305,465	0	645,525	645,525	0	286,800	286,800	0
შემოსავლები საკუთრებიდან	122,486	122,486	0	534,973	534,973	0	153,300	153,300	0
პროცენტები	21,656	21,656	0	26,043	26,043	0	41,000	41,000	0
დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	21,656	21,656	0	26,043	26,043		41,000	41,000	
რენტა	100,830	100,830	0	508,930	508,930	0	112,300	112,300	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	100,830	100,830	0	507,891	507,891		107,000	107,000	
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0	0	0	1,039	1,039		5,300	5,300	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	34,825	34,825	0	25,014	25,014	0	33,400	33,400	0



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	26,499	26,499	0	23,994	23,994	0	21,000	21,000	0
სანებართვო მოსაკრებელი	1,026	1,026	0	1,692	1,692	0	1,000	1,000	0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1,026	1,026	0	0			1,000	1,000	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	0	0	0	0	0	0	0	0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	25,473	25,473	0	22,302	22,302		20,000	20,000	
არასაბაზრო წესით გაყიდული საკონკრეტო და მომსახურება	8,326	8,326	0	1,020	1,020	0	12,400	12,400	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	8,326	8,326	0	1,020	1,020		12,400	12,400	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	49,414	49,414	0	28,108	28,108		37,000	37,000	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	98,741	98,741	0	57,430	57,430		63,100	63,100	

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 870 440 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	4,497,767	4,302,206	195,561	4,796,268	4,778,355	17,913	5,870,440	5,870,440	0
შრომის ანაზღაურება	1,195,666	1,195,666	0	2,552,056	2,552,056	0	2,321,200	2,321,200	0
საქონელი და მომსახურება	502,918	472,952	29,966	961,169	953,070	8,099	1,223,390	1,223,390	0
პროცენტი	0	0	0	0	0	0	0	0	0
სუბსიდიები	2,363,264	2,203,769	159,495	647,116	638,502	8,614	721,500	721,500	0
სოციალური უზრუნველყოფა	290,861	290,861	0	189,677	189,677	0	206,200	206,200	0
სხვა ხარჯები	145,057	138,957	6,100	446,249	445,049	1,200	1,398,150	1,398,150	0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 585 816 ლარის



ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4 610 816 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	92,566	92,566	0	73,297	73,297	0	98,400	98,400	0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0	1,019	1,019	0	700	700	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,411,257	1,877,711	533,546	4,328,206	3,624,513	703,694	4,231,816	4,231,816	0
განათლება	470,600	470,600	0	326,453	326,453	0	167,400	167,400	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	224,197	224,197	0	112,464	112,464	0	112,500	112,500	0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14,000	14,000	0	77,451	77,451	0	0	0	0
სულ ჯამი	3,212,620	2,679,074	533,546	4,918,890	4,215,196	703,694	4,610,816	4,610,816	0

ბ) განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 25 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	2 386	2 386	0	20 476	20 476	0	25000	25000	0
ძირითადი აქტივები	2 386	2 386	0	11 393	11 393	0	25000	25000	0
არაწარმოებული აქტივები	0	0	0	9 083	9 083	0	0	0	0
მიწა	0	0	0	9 083	9083	0	0	0	0



მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 10 481 256 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,670,403	1,667,425	2,978	2,061,603	2,061,603	0	1,839,600	1,839,600	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,612,380	1,609,402	2,978	1,780,132	1,780,132	0	1,839,600	1,839,600	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,612,380	1,609,402	2,978	1,780,132	1,780,132	0	1,729,600	1,729,600	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	0	0	0	0	110,000	110,000	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	58,023	58,023	0	281,471	281,471	0	0	0	0
702	თავდაცვა	51,552	51,552	0	57,092	57,092	0	56,800	56,800	0
7021	სამოქალაქო თავდაცვა	51,552	51,552	0	57,092	57,092	0	56,800	56,800	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	278,718	255,877	22,841	0	0	0	0	0	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	251,258	228,417	22,841	0	0	0	0	0	0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	27,460	27,460	0	0	0	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	766,590	763,537	3,053	879,280	879,280	0	475,000	475,000	0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2,990	2,990	0	0	0	0	0	0	0
70421	სოფლის მეურნეობა	2,990	2,990	0	0	0	0	0	0	0
7043	სათბობი და ენერგეტიკა	0	0	0	0	0	0	0	0	0
70432	ნავთობი და ბუნებრივი აირი	0	0	0	0	0	0	0	0	0
7045	ტრანსპორტი	763,600	760,547	3,053	879,280	879,280	0	475,000	475,000	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	763,600	760,547	3,053	879,280	879,280	0	475,000	475,000	0
	სხვა									



7049	არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0	0	0	0	0	0	0	0	0
705	გარემოს დაცვა	235,092	235,092	0	37,131	37,131	0	0	0	0
7051	ნარჩენების შერეობა, გადამუშავება და განადგურება	0	0	0	0	0	0	0	0	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	167,951	167,951	0	0	0	0	0	0	0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	67,141	67,141	0	37,131	37,131	0	0	0	0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,873,009	1,295,261	577,748	3,912,703	3,191,097	721,607	5,005,256	5,005,256	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	387,497	387,497	0	388,713	388,713	0	2,517,346	2,517,346	0
7063	წყალმომარაგება	368,341	357,341	11,000	1,428,609	1,419,995	8,614	823,100	823,100	0
7064	გარე განათება	0	0	0	0	0	0	50,000	50,000	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,117,171	550,423	566,748	2,095,382	1,382,389	712,993	1,614,810	1,614,810	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	92,417	86,666	5,751	179,868	179,868	0	272,300	272,300	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	92,417	86,666	5,751	179,868	179,868	0	272,300	272,300	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,178,134	1,116,464	61,670	1,141,052	1,141,052	0	842,700	842,700	0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	574,655	551,122	23,533	588,538	588,538	0	304,900	304,900	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	485,622	447,485	38,137	535,214	535,214	0	537,800	537,800	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0	0	0	0	0	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	117,858	117,858	0	17,300	17,300	0	0	0	0
709	განათლება	1,559,439	1,481,532	77,907	1,524,383	1,524,383	0	1,879,800	1,879,800	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	853,800	796,218	57,582	947,627	947,627	0	1,085,300	1,085,300	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	705,639	685,314	20,325	576,755	576,755	0	794,500	794,500	0
710	სოციალური დაცვა	256,290	256,290	0	200,745	200,745	0	109,800	109,800	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	18,042	18,042	0	18,893	18,893	0	16,800	16,800	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	238,248	238,248	0	181,852	181,852	0	93,000	93,000	0
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		7,961,645	7,209,697	751,948	9,993,858	9,272,251	721,607	10,481,256	10,481,256	0



მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -332 770 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -372 570 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 39 800 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 110000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული და კულტურული პროგრამები

სპორტული და კულტურული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. პრემიები

2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მუშაკებზე პრემიების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 14. პასუხისმგებლობა

2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქედის მუნიციპალიტეტი ახორციელებს წვევამდელთა და რეზერვისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევას და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

1.1 სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქედის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების



კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლუატაციის ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტის სოფლებში 600კმ-ზე მეტი საუბნო საავტომობილო გზაა, რომელთაც მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა 30% ანუ 7000-მდე ბენეფიციარი სარგებლობს, ხშირ შემთხვევებში აღნიშნული გზები არ არის აჭარის საგზაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში, ამიტომ რჩება მოუვლელი და ხშირად გაუვალი ხდება, საჭიროა აღნიშნული გზების საფარის აღდგენა და სხვა საგზაო სამუშაოების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების გაწმენდითი სამუშაოები და დამატებით ახალი გზების შეყვანა. გაგრძელდება ასევე შიდა სასოფლო საუბნო გზების რეაბილიტაცია, მდინარე აკავერეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები, და სოფელ დოხოძეებში საცალფეხო ბილიკის მოწყობა.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვის დაფინანსება და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, გაგრძელდება დაბისა და თემების ცენტრების დაგვა-დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება და უზრუნველყოფილი იქნება მაწანწალა ცხოველებისაგან დაცვის ღონისძიებები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემას, ასევე დაგეგმილია სპეცტექნიკის შეძენა და დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება.

2.2.1 შპს ქედის კომუნალურსერვისი (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის- 1300 წერტილის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა.

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 16 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები,

მაწანწალა ცხოველების თავმოყრა დაბასა და თემების ცენტრებში სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება და შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.

2.2.2 წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები (პირობითი კოდი 03 02 04)

მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ქედის წყალკანალი, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. სულ მუნიციპალიტეტში 12 მაგისტრალია და საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს დასრულდება ხარაულა-ჯალაბაშვილების სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, ასევე განხორციელდება გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია, კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, სოფელ ძენწმანში წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფელ ოქტომბრის წყლის სამარაგო ავზის მშენებლობა, ოქტომბრის თემში (კვინჩხას უბანი) წყალშემკრები და სამარაგო ავზის მშენებლობა.

2.2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)



პროგრამის ფარგლებში 2017 წელს განხორციელდება დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, ოქტომბერი, დაბა ქედა მერისი, პირველი მაისი, მახუნცეთი), ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ზენდიდისა და კავიანის ციხეებზე ტურისტული მარშუტების მოწყობისათვის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა), აწვევის ტერიტორიის კეთილმოწყობა. გაგრძელდება მუნიციპალური (ყოფილი კოოპერაციის ადმინისტრაციული შენობა) შენობის რეაბილიტაცია და აწვევის ტერიტორიაზე სავაჭრო დახლის მოწყობა.

2.2.4 მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 03 02 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება (პროგრამული კოდი 03 04)

აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ, გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

3. განათლების დაწესებულებები და ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.

3. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1.1 ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, რომელიც მოიცავს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კვების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.1.2 ბაგა ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია და ინვენტარის შეძენა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა მაქიმალურად ჩართვის და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს დაგეგმილია დოლოგნის ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა, წონიარისის ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა და ზუნდაგის ბაგა ბაღის რეკონსტრუქცია.

4. კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით)



განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

სპორტის განვითარება და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა და არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1 ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 8 სექცია (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, მშვილდოსნობა, კინგბოქსი და ფრენბურთი), სადაც სწავლება უფასოა და 270 ბავშვია სხვა სპორტულ სახეობებში ჩაბმული.

4.1.2 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

2017 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში 950-მდე მონაწილე 50 ადგილობრივ და რესპუბლიკურ მნიშვნელობის ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას. ღონისძიებების ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენტა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით თასებით, მედლებით, დიპლომებით, და სხვა ფასიანი საჩუქრებით, აგრეთვე ფულადი საჩუქრებით. დასაჩუქრდებიან წლის წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4.1.3 საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს საფეხბურთო კლუბ „ბეთლემის“ მხარდაჭერა. კერძოდ ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

4.1.4 სარაგბო კლუბის მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს სარაგბო კლუბ „ფირალების“ მხარდაჭერა. კერძოდ მორაგბეთა ხელფასები, ტრანსპორტირების დაფინანსება, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის შეძენა, შეკრებების ორგანიზება.

4.1.5 მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 06 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რითაც მოწესრიგდება სპორტული ინფრასტრუქტურა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროს ქსელის გაფართოება, არსებულის რეაბილიტაცია და თანამედროვე ღონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. ცალკეულ თემებში და დაბაში კულტურის ახალი კერების შექმნა. არსებული საშუალებების მაქსიმალურად ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

4.2.1 ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქედის კულტურის ცენტრი აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ფოლკლორულ და ვოკალურ ანსამბლს რომლებმაც წარმატებით გაიარეს სახელმწიფო აკრედიტაცია და აქვთ საკმაოდ დიდი მიღწევები, კულტურის ცენტრში აგრეთვე მოქმედებს რეწვის და თექის წრეები, რომლებშიც 58 მოსწავლეა ჩართული.



ყოველივე აქედან გამომდინარე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის მიმდინარე ხარჯები ანსამბლების ფორმებითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა, სხვადასხვა ფოლკლორულ ღონისძიებაში და გამოფენაში მონაწილეობა. თექისა და რეწვის წრეებისათვის შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

4.2.2 ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ა.ა.ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა სამი სექციით შემოიფარგლება კერძოდ: 1) საფორტეპიანო. 2) საორკესტრო და 3) ქორეოგრაფიული რომლებშიც სწავლა განათლებას 187 მოსწავლე ღებულობს. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ახორციელებს სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასა და მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას.

4.2.3 ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი დაარსდა 1999 წელს სადაც თავმოყრილი და გამოფენილია ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ათასამდე ექსპონატი.საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიური ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეუკვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები, ასევე მუზეუმის დაცულია იშვიათი ექსპონატები, რომლებიც ადგილობრივი რეწვის ოსტატობის ნიმუშებს წარმოადგენს. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 2000-დან 3000-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი ყოველივე, აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს.

4.2.4 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შობა-ახალი წლის დღესასწაულის, სხვა ღირსშესანიშნავი დღეების აღნიშვნა, რაიონის და საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ენერგიული, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენა; ქედლობისა და მერისლობის დღესასწაულების ღირსეულად აღნიშვნა; რაიონის წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სტიმულირება შემდგომი მუშაობისათვის, საინტერესო პროექტების ხელშეწყობა; იმ ადამიანების წარმოჩენა, რომელთაც თავისი მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვეს ქედის ისტორიაში; სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების პოპულარიზაცია; კონცერტების ორგანიზება ქართული ანსამბლების და ინდივიდუალური მომღერლების მონაწილეობით და სხვა კულტურული ღონისძიებები.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.1 ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 01)

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება

5.1.1. ეპილევსიით დაავადებულთა სფეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 01)



ეპილევსია ქრონიკული ნერვულ-ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი გულყრებით. ეპილევსიის სიხშირე მაღალია როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში რაც გამოწვეულია თავის ტვინის მთელი რიგი ასაკობრივი თავისებურებებით. დაავადების მიმდინარეობის მთავარი პრინციპი ანტი ეპილევსიური მედიკამენტების სისტემატიური მიღებაა, დროული მედიკამენტოზური ჩარევის გარეშე დაავადება იწვევს ინვალიდობას ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით.

ამ ასპექტის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი მე-4 წელია ახორციელებს ეპილევსიით დაავადებულთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტების უზრუნველყოფის პროგრამას, რომლითაც 79 ბენეფიციარი სარგებლობს.

5.1.2. ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 02)

მუნიციპალიტეტის თემის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიიდან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების დროული აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 8 ამბულატორიის ტრანსპორტითა და ამბულატორიების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებით უზრუნველყოფა.

5.1.3 სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა (პირობითი კოდი 06 01 03)

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამის ამოქმედებით სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი.

5.1.4 თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის (პირობითი კოდი 06 01 04)

ქედის მუნიციპალიტეტიდან აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამბულატორიულ აღრიცხვაზეა 585-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს 130 პაციენტი ანუ პაციენტთა საერთო რაოდენობის 22-23-%, ხოლო თვის განმავლობაში 50-60 პაციენტი, ანუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 10-11%, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე, შეუძლებელია, სწორედ, ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში, მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებათ სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ვეტერანთა გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა (პირობითი კოდი 06 02 01)

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში უმწეოთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედაში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 26 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. ამ კატეგორიის მოქალაქეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული "სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში" და მიენიჭათ 70 000-მდე სარეიტინგო ქულა.

მიმდინარე პროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად



5.2.2 ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება. (პირობითი კოდი 06 02 02)

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს, კერძოდ ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას და გარკვეული ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის „ომისა და შეარადებლი ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა ბ“ პუნქტები, 21-ე მუხლის „1,2,3“ პუნქტები და 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“.

5.2.4 ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პირობითი კოდი 06 02 04)

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს არსებული დემოგრაფიული პრობლემების პირობებში აღნიშნული კატეგორიის დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებია, აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება რომელიც ერთ ბენეფიციარზე ერთჯერადად 1000 ლარით დახმარებას გულისხმობს;

5.2.5 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პირობითი კოდი 06 02 05)

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ მიზნით ქვეყანაში შემუშავდა და ხორციელდება სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში მონაწილე თითოეული პირისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას და უფასო სამედიცინო მომსახურების დახმარების პაკეტს. 0-დან 70 000 ჟულის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტში დამატებით შემუშავებულია ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში 250 ლარით ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

5.2.6 ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის უზრუნველყოფის პროგრამა(პირობითი კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ე. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით, (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. ქედის მუნიციპალიტეტიდან 9 ბენეფიციარი მკურნალობს, პროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე.

5.2.7 ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის" მიზნობრივი პროგრამა (პირობითი კოდი 06 02 07)

